

საარჩევნო მედია მონიტორინგი

23 ოქტომბერი - 3 ნოემბერი 2012

23 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მედია მონიტორინგის დროს, ხუთ არხზე (საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, მაესტრო, კავკასია და მეცხრე არხი) გამოვლინდა შემდეგი მირითადი მიგნებები:

- ყველა არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში, ერთნაირი თანმიმდევრობით არიან შემდეგი სუბიექტები: მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. გამონაკლისია მხოლოდ პირველი არხი, სადაც პირველ ადგილას არის კოალიცია ქართული ოცნება, მეორეზე კი მთავრობა.
- მონიტორინგის სხვა პერიოდებთან შედარებით ძალიან იკლო პრეზიდენტის გაშუქებამ ყველა არხზე. ამასთან, ამ პერიოდში თითქმის აღარ შუქდება რიგი მონიტორინგის სხვა სუბიექტებისა (პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, ცესკო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და სხვა).
- ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირველ არხსა და რუსთავი 2-ზე პირდაპირი საუბრის წილი 60 პროცენტზე მეტი აქვს, დანარჩენ სამ არხზე კი 42 პროცენტზე ნაკლები. რაც გარკვეულწილად განპირობებულია ამ ორ არხზე საინფორმაციო გამოშვებებში არსებული მინი თოქშოუთი.
- მთავრობას და კოალიცია ქართულ ოცნებას ყველა არხზე მეტ-ნაკლებად თანაბრად აქვთ გადანაწილებული პირდაპირი და ირიბი საუბრის წილები.

- მონიტორინგის ამ პერიოდში ყველა არხზე ჭარბობდა სუბიექტების ნეიტრალური ტონით გაშუქება, თუმცა ძირითად სამ სუბიექტს ყველა არხზე დაუფიქსირდა უარყოფითი გაშუქება სხვადასხვა რაოდენობით.
- მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უარყოფითი გაშუქების წილი 30 პროცენტზე მეტია. ასეთი ტენდენციაა ამ არხებზე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაშიც.
- დადებითი გაშუქება ყველა არხზე საკმაოდ იშვიათი იყო. თუმცა, მაესტროსა და მეცხრე არხზე მთავრობის დადებითი გაშუქების წილი სხვა არხებთან შედარებით მეტია.
- მაესტროზე პრეზიდენტის დადებითი და უარყოფითი გაშუქების წილი თითქმის თანაბარია.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიის საარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პალიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გამუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გამუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და მეორე შემთხვევაში ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადღებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 23 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მოხვდნენ მხოლოდ ის პარტიები და გაერთიანებები, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიცვალა მთავრობისა და პარლამენტის შემადგენლობა. შესაბამისად შეიცვალა მონიტორინგის სუბიექტებიც.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ამ პერიოდში მონიტორინგს შეეხო არის რეალ ტვ-სა და იმედის საინფორმაციო სამსახურების მუშაობის შეჩერება. რეალ ტვ-ის საინფორმაციო გამოშვებები 8 ოქტომბრის, ხოლო იმედის - 17 ოქტომბრის შემდეგ აღარ გასულა. შესაბამისად მონიტორინგი უკეთდება მხოლოდ დარჩენილი 5 არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, მაესტრო, კავკასია და მეცხრე არხი.

პირველი არხი

პირველ არხზე მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სუბიექტებს 23 ოქტომბრიდან - 3 ნოემბრის პერიოდში სულ 7 საათი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ არხზე თვალში საცემია სამი ძირითადი სუბიექტი, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ კოალიცია ქართული ოცნება, მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი ყველაზე თანაბრად მთავრობის შემთხვევაშია გადანაწილებული. კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი პირდაპირი საუბრის წილი შედარებით მეტი აქვთ. პირველ არხზე მონიტორინგის სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება. უარყოფითი გაშუქების შედარებით დიდი წილი დაუფიქსირდა კოალიცია ქართულ ოცნებას (როგორც მთლიან ისე უურნალისტის ტონში) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუსტების სათაურები. ზოგადად ნეიტრალური სიუსტები ჭარბობს. თუმცა, გვხვდება დადებითი და უარყოფითი გაშუქების შემთხვევებიც. უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუსტები უმეტესად უარყოფითად წარმოაჩენს ახალ მთავრობას და პრემიერ მინისტრს, ხოლო იშვიათად ძველ ხელისუფლებას. ხშირად ასეთი შთაბეჭდილება იმით არის განპირობებული, რომ სიუსტებში ჭარბობს ერთი კონკრეტული მხარის წარმომადგენელი რესპონდენტების კომენტარები. რაც შეეხება უურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია. არჩევნების შემდეგ გადაცემაში პირდაპირ ჩართვებში მოწვეული არიან, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობის წევრები. წამყვანის კითხვები ძირითადად ზომიერად მომთხოვნია, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც უურნალისტები უფრო მეტად ან ნაკლებად მომთხოვნ კითხვას სვამებს.

23 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში პირველ არხზე მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ ჯამში 7 საათი და 15 წუთი შეადგინა. თვალში საცემია სამი ძირითადი სუბიექტი, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ. პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება 35 პროცენტით. მეორე და მესამე ადგილას კი მთავრობა - 27 პროცენტით და ნაციონალური მოძრაობა - 24 პროცენტით.

პარლამენტს მთელი დროის მხოლოდ 6 პროცენტი ერგო. დანარჩენ სუბიექტებს კი 3 პროცენტი ან ნაკლები.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ყველა არხზე და მათ შორის პირველ არხზეც, მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება მკვეთრად შემცირებულია. სხვა პოლიტიკურ პარტიებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვა სუბიექტებს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში დრო თითქმის აღარ ეთმობათ. (იხ. დიაგრამა Time 1)

იმ სამ სუბიექტს შორის, რომელთაც არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი ყველაზე თანაბრად მთავრობის შემთხვევაშია გადანაწილებული. (პირდაპირი 52 პროცენტი, ირიბი 48 პროცენტი) კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირდაპირი საუბრის წილი შედარებით მეტი აქვთ (ქართული ოცნება - 57 პროცენტი, ნაციონალური მოძრაობა - 61 პროცენტი). რაც ერთის მხრივ განპირობებულია მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ჩართული მინი თოქმოუთი, სადაც პირდაპირი ეთერში სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურები არიან მოწვეული და აქვთ შესაძლებლობა პირდაპირ ეთერში ისაუბონ. პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება ასევე საკმაოდ თანაბარი აქვს პარლამენტს: პირდაპირი - 46 პროცენტი, ირიბი - 54 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით ჩანს, რომ პირველ არხზე მონიტორინგის სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება. ნეიტრალური ტონის ყველაზე დაბალი წილი, 72 პროცენტი, პრეზიდენტის შემთხვევაში დაფიქსირდა, რომელსაც მხოლოდ 8 წუთი დაეთმო. ამ დროის 18 პროცენტი დადებით გაშუქებას დაეთმო, 10 პროცენტი კი - უარყოფითს. დანარჩენ სუბიექტების ნეიტრალური ტონით გაშუქება 86 პროცენტზე მეტია. აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც ყველაზე მეტი დრო (თითქმის 3 საათი) დაეთმო, უარყოფითი ტონის წილიც ყველაზე მეტი აქვს, 11 პროცენტი. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი წილი აქვს ასევე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 9 პროცენტი. რაც შეეხება დადებით ტონს, ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძროაბას 3 პროცენტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდა. მთავრობასა და ნაციონალურ მოძრაობას კი 2-2 პროცენტი დადებითი გაშუქება აქვთ. (იხ. დიაგრამა Tone 1)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, თითქმის ყველა სუბიექტი მხოლოდ ნეიტრალური ტონით შუქდება. ყველაზე დაბალი ნეიტრალური ტონის მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებასა და პრეზიდენტს აქვთ - 91 პროცენტი. განსხვავება იმაშია, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას თითქმის 38 წუთი დაეთმო ჟურნალისტის მხრიდან და 8 პროცენტით უარყოფითად გაშუქდა. ხოლო, პრეზიდენტს მხოლოდ სამწუთნახევარი დაეთმო და აქედან 9 პროცენტი დადებითად გაშუქდა. (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგის ამ პერიოდში პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა.

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. 23 ოქტომბერი - 3 ნოემბრის პერიოდში პირველ არხზე ქარბობს ნეიტრალური შინაარსის მქონე სიუჟეტები. თუმცა, გახვდება დადებითი და უარყოფითი გაშუქების შემთხვევებიც, ამ ორს შორის კი უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები ჭარბობს, რომლებიც უმეტესად უარყოფითად წარმოაჩენს ახალ მთავრობას და პრემიერ მინისტრს, ხოლო იშვიათად ძველ ხელისუფლებას. ხშირად ასეთი შთაბეჭდილება იმით არის განპირობებული, რომ სიუჟეტებში ჭარბობს ერთი კონკრეტული მხარის წარმომადგენელი რესპონდენტების კომენტარები.

მაგალითად, 24 ოქტომბრის სიუჟეტი „რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგია“ უარყოფითად წარმოაჩენდა პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს და კოალიცია ქართულ ოცნებას. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ სიუჟეტში უფრო მეტი რესპონდენტი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, რომლებიც უარყოფითად საუბრობდნენ მმართველ გუნდსა და მის ლიდერზე. სიუჟეტის მიხედვით ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილის მიერ რუსეთში ქონების დაგროვების კანონიერებით დაინტერესდა და დეპუტატებმა მას ამის თაობაზე კითხვები დაუსვეს. სიუჟეტი ასევე შეეხო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს და ახალი მმართველი გუნდის პოლიტიკას ამ მიმართულებით.

იგივე გამოშვებაში გასული სიუჟეტი „შეკითხვები პრემიერ მინისტრობის კანდიდატს“ საერთო ჯამში უარყოფით შთაბეჭდილებისკენ იხრება პრემიერ მინისტრის მიმართ. სიუჟეტი

იწყება თითქოს დადებითი შთაბეჭდილებით სადაც საპარლამენტო უმცირესობის წევრები ხუმრობენ და ჩანს ბიძინა ივანიშვილი როგორ იცინის. სიუჟეტში, ასევე, წარმოდგენილია ის მონაკვეთი, სადაც გოგა ხაჩიძე ეხუმრება პრემიერ მინისტრს და სთხოვს ანეგდოტის მოყოლას. ბიძინა ივანიშვილი კი მას საპასუხოდ ეკითხება: თქვენ მართლა დადიოდით ველოსიპედით? თუმცა, ეს მონაკვეთი საკმაოდ ირონიულია და მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტების მხრიდან ხაზი ესმება იუმორს და ყურადღება გადატანილია ხუმრობით ნაწილზე, ეს ყოველივე უარყოფით შთაბეჭდილების მატარებელია. სიუჟეტის მეორე ნაწილში ნაციონალური მოძრაობის კომენტარებია, რომლებიც უარყოფითად აფასებენ ახალ ხელისუფლებას, გოგა ხაჩიძე კი პრემიერზე ანეგდოტს ყვება. მთლიანობაში, სიუჟეტი უფრო უარყოფით შთაბეჭდიელბას ტოვებს.¹

რაც შეეხება დადებით საერთო შთაბეჭდილებას, მხოლოდ რამდენიმე ასეთი სიუჟეტი დაფიქსირდა. მაგალითად, 29 ოქტომბრის სიუჟეტი „პრეზიდენტი ბათუმში“ დადებითად წარმოაჩენდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტზე. თუმცა, ამას ძირითადად განაპირობებდა პრეზიდენტის საუბარი. ის დადებითად საუბრობდა ლევან ვარშალომიძის შესახებ, რომელიც მოღვაწეობას უმცირესობის გუნდში აგრძელებს.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ძირითადად მოცემულია.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში უკვე რამდენიმე თვეა პირველ არხს საინფორმაციო გადაცემაში აქვს პირდაპირი ჩართვა მოწვეული პარტიის წარმომადგენლებთან. არჩევნების შემდეგ გადაცემაში მოწვეული არიან, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობის წევრები. 23 ოქტომბერი - 2 ნოემბრის პერიოდში პირველ არზე სულ 16 ასეთი ჩართვა იყო და თითოეულის საშუალო ხანგრძლივობა 10 წუთს შეადგენდა. აღნიშნული ჩართვების სტუმრები იყვნენ: გოდერძი ბუკია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), თინა ხიდაშელი (კოალიცია ქართული ოცნება), პავლე კუბლაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ეკა ბესელია (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარე/კოალიცია ქართული ოცნება), დავით ონოფრიშვილი (საფინანსო-საბიუჯეტო

¹იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=A7jZ5bPX6nk&feature=youtu.be>

კომიტეტის თავჯდომარე/კოალიცია ქართული ოცნება), აკაკი მინაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ვახტანგ ხმალაძე (იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე/კოალიცია ქართული ოცნება), კახა კუკავა (თავისუფალი საქართველო), კოკი იონათამიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), დავით უსუფაშვილი (პარლამენტის თავჯდომარე), ლევან ბეჟაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), მანანა კობახიძე (პარლამენტის ვიცე სპიკერი), დავით დარჩიაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), დავით დარახველიძე (ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი), სოზარ სუბარი (სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი).

მოცემულ ჩართვებში ერთი სტუმარია წარმოდგენილი. ჟურნალისტი უმეტესწილად აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ იმ შემთხვევაში აწყვეტინებს საუბარს, როცა სურს დამატებითი კითხვა დაუსვას, დააზუსტოს რამე ან თუ რესპონდენტი გასცდა სასაუბრო თემას. ჩართვების სტუმრები მეტნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში არიან. წამყვანის კითხვები ძირითადად ზომიერად მომთხოვნია, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტები უფრო მეტად ან ნაკლებად მომთხოვნ კითხვას სვამენ.

რესთავი 2

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტებს სულ 7 საათი და 14 წუთი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ და მეორე ადგილას მყოფ მთავრობასა და კოალიცია ქართული ოცნებას დროის განაწილება თითქმის თანაბარი აქვთ. შედარებით ნაკლები დრო დაეთმო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი ყველაზე თანაბრად მთავრობის შემთხვევაშია გადანაწილებული. დანარჩენ სუბიექტებს, რომლებსაც 20 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი საუბრის წილი შედარებით მაღალი აქვთ. ამ პერიოდში რუსთავი 2-ზე სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად არის გაშუქებული, ეს ჩანს რროგორც საერთო, ისე ჟურნალისტის ტონის ამსახველ დიაგრამებშიც. დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში მყოფ სუბიექტებს სხვა სუბიექტებთან შედარებით მაღალი საერთო უარყოფითი ტონით გაშუქების

პროცენტი აქვთ. სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია. სიუჟეტების ზოგადი შთაბეჭდილება ხშირად ნეიტრალურია. მკვეთრად უარყოფითი ან დადებითი სიუჟეტები რომელიმე სუბიექტის მიმართ არ შეინიშნება. თუმცა, დაფიქსირდა დადებითი სიუჟეტები პრეზიდენტსა და ერთიანი ნაციონალური მოძრობის წარმომადგენლებზე და უარყოფითი სიუჟეტები - კოალიცია ქართულ ოცნებასა და ახალ მატრობის წევრებზე. საინფორმაციო გამოშვებაში პირდაპირ ეთერში მოწვეული სტუმრის ჩართვებში უურნალისტი ყოველთვის აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას, ხოლო კითხვები მეტნაკლებად მომთხოვნა.

მონიტორინგის პერიოდში (23 ოქტომბერი - 3 ნოემბერი) რუსთავი 2-ის საინფორმაციო გაოშვებებში ყველა სუბიექტს ჯამში 7 საათი და 14 წუთი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ და მეორე ადგილას მყოფ სუბიექტებს შორის დროის განაწილება საკმაოდ თანაბარია: მთავრობა - 35 პროცენტი და კოალიცია ქართული ოცნება - 33 პროცენტი. მესამე ადგილზეა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 17 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს 5 პროცენტი და ნაკლები დაეთმოთ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ყველა არხზე და მათ შორის რუსთავი 2-ზეც, მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება მკვეთრად შემცირებულია. სხვა პოლიტიკურ პარტიებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვა სუბიექტებს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში დრო თითქმის აღარ ეთმობათ. (იხ. დიაგრამა Time 2)

პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი ყველაზე თანაბრად მთავრობის შემთხვევაშია გადანაწილებული: პირდაპირი 53 პროცენტი, ირიბი 47 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს, რომლებსაც 20 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი საუბრის წილი შედარებით მაღალი აქვთ. კოალიცია ქართული ოცნება - 64 პროცენტი, ნაციონალური მოძრაობა - 65 პროცენტი და ადგილობრივი თვითმმართველობა 86 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ ასეთი შედეგი ძირითადად განპირობებულია მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ჩართული მინი თოქშოუთი, სადაც პირდაპირი ეთერში სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურები არიან მოწვეული და აქვთ შესაძლებლობა პირდაპირ ეთერში ისაუბონ. (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, ამ პერიოდში სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად არის გაშუქებული. სამივე სუბიექტს, რომელთაც 1 საათზე მეტი დრო დაეთმოთ, დაუფიქსირდა უარყოფითი ტონის წილი. ყველაზე მაღალი წილი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს - 11 პროცენტი, კოალიცია ქართულ ოცნებას - 7 პროცენტი და მთვრობას - 4 პროცენტი. პრეზიდენტს, რომელსაც მხოლოდ 12 წუთი დაეთმო, დადებითი და უარყოფითი ტონის წილი თითქმის ერთნაირი აქვს: დადებითი 13 პროცენტი, უარყოფითი - 14 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ამ შემთხვევაშიც უმეტესად ჭარბობს ნეიტრალური ტონით გაშუქება. ნაიტრალური ტონის ყველაზე დაბალი წილი 97 პროცენტს შეადგენს, რომელიც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს. (იხ. დიაგრამა Tone J2)

მონიტორინგის ამ პერიოდში რუსთავი 2-ზე გასული სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალური ხასიათის იყო. ასევე, ჭარბობდა ნეიტრალური ხასიათის სიუჟეტები. თუმცა, იმ სიუჟეტების უმეტესობა, რომელთა საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება ეხება პრემიერ მინისტრს, ახალ მთავრობასა და მმართველ გუნდს.

მაგალითად, 24 ოქტომბრის სიუჟეტი „პირველი დებატები“ უარყოფითად წარმოაჩენს ბიძინა ივანიშვილს. სიუჟეტი ეხებოდა პარლამენტში გამართულ სხდომას და უმცირესობის შეკითხვებს უმრავლესობის მიმართ. ჟურნალისტი არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ პრემიერ მინისტრმა საპარლამენტო უმცირესობას ზუსტი და კონკრეტული პასუხები ვერ გასცა.

26 ოქტომბრის სიუჟეტი „გადადებული პირველი სამუშაო დღე“ უარყოფითია კულტურისა და ძეგლთა დაცვის ახალი მინისტრის, გურამ ოდიშარიას მიმართ. სიუჟეტს ჟურნალისტი იწყებს სიტყვებით, რომ ივანიშვილის კაბინეტის წევრებიდან ყველაზე მეტად გურამ ოდიშარიას არ გაუმართლა, რადგან კულტურის მინისტრს მის დაქვემდებარებულ უწყებაში არავინ დახვდა, არც ყოფილი მინისტრი და არც ყოფილი მოადგილეები, ამის გამო საქმეების ორშაბათისთვის გადადება მოუწია. სიუჟეტში ხაზგასმულია, რომ გურამ ოდიშარია დილით ჩამოვიდა ქუთაისიდან და სამსახურში უჰალსტუხოდ მივიდა. ამასთან, ჟურნალისტი ყვება,

რომ ნიკა რურუამ უკვე წაიღო თავისი ნივთები და საუბრობს ყოფილი მინისტრის დისკების კოლექციასა და ბიბლიოთეკაზე. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ნიკა რურუამ ახალ მინისტრს კაბინეტში მხოლოდ ათწლიანი კაქტუსი დაუტოვა, რის შესახებაც ახალმა მინისტრმა ჯერ არაფერი იცის. თუმცა, სიუჟეტში მოცემულია თავად ახალი კულტურის მინისტრის კომენტარიც.²

3 ნოემბრის სიუჟეტი „გაუქმებული შეღავათები“ ეხება სოციალური დახმარების პროგრამას, რომელსაც მერია კურირებდა და რომელიც აღარ მოქმედებს. სიუჟეტში ჩამოთვლილია ის სოციალური პროგრამები, რომელსაც თბილისის მერია 19 ოქტომბრამდე ახორციელებდა, რასაც თავდაპირველად სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებდა, ხოლო შემდგომ ვანო მერაბიშვილის მთავრობის დადგენილებით პროგრამების დაფინანსება ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცა. თუმცა, ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობა აცხადებს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს არ აქვს აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებელი თანხები. ამიტომ, ბიძინა ივანიშვილის დადგენილებით სოციალური პროგრამების დაფინანსება ისევ თბილისის მერიას გადაეცა, ხოლო ამ უკანასკნელს საკმარისი თანხები არ აღმოაჩნდა. ყოვილივე ამის შედეგად, სოციალური დახმარების სამი პროგრამა დაფინანსების გარეშე დარჩა და ეს მოსახლეობას შეეხო. ჟურნალისტი ყველა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროგრამები მოქალაქეებისთვის. აჩვენებენ პენსიონერს, რომელიც ჯერჯერობით შეღავათით მგზავრობს, მაგრამ მალე შეიძლება მეტის გადახდა მოუწიოს. ნაჩვენებია ინტერვიუები იმ ადამიანებთან, რომლებიც დახმარებას იღებდნენ, ახლა აღარ იღებენ და უკმაყოფილებას გამოხატავენ ამასთან დაკავშირებით. მთლიანობაში სიუჟეტიდან უარყოფითი შთაბეჭდილება რჩება როგორც მერიაზე, ასევე ფინანსთა სამინისტროზე, ბიძინა ივანიშვილსა და ზოგადად, ახალ მთავრობაზე.

მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა მხოლოდ რამდენიმე უარყოფითი შინაარსის სიუჟეტი ყოფილ ხელისუფლებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე.

რაც შეეხება დადებითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებს, მთლიანობაში მათი რაოდენობა ძალიან მცირე იყო და ძირითადად საქართველოს პრეზიდენტსა და ერთიან

² იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=5wpNVN3DFB8&feature=youtu.be>

ნაციონალურ მოძრაობას ეხებოდა. მხოლოდ ერთი დადებითი შინაარსის სიუჟეტი დაფიქსირდა კულტურის მინისტრის, გურამ ოდიშარიას შესახებ.

მაგალითად, 22 ოქტომბრის სიუჟეტი „პრეზიდენტი დუბაიში“ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მიხეილ სააკაშვილზე. სიუჟეტში პრეზიდენტი იმყოფება დუბაიში საერთაშორისო ენერგეტიკულ ფორუმზე. მიხეილ სააკაშვილი დადებითად ჩანს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებისა და მეთაურების გვერდით. ის გამართულ ენერგეტიკულ ფორუმზე სიტყვით გამოდის. აგრეთვე, სიუჟეტში ნაჩვენებია მიხეილ სააკშვილის ინტერვიუ, სადაც ის ყურადღებას ამახვილებს იმ სასიკეთო ცვლილებებზე, რომელიც საქართველოში მისი გუნდის მმართველობის პერიოდში მოხდა.

აგვისტოს მეორე ნახევრიდან რუსთავი 2-მა საინფორმაციო გადაცემაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გააეთება, სადაც იწვევენ ერთ ან რამდენიმე პოლიტიკოსს. ზოგჯერ ისინი დებატების ხასიათს ატარებენ. 22 ოქტომბერი - 3 ნოემბრის პერიოდში რუსთავი 2-ზე სულ 13 ასეთი პირდაპირი ჩართვა მოხდა და მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: დავით ბერძენიშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), დავით დარჩიაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ირაკლი ღარიბაშვილი (შინაგან საქმეთა სამინისტრო), ზაქარია ქუცნაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), გოვა გაბაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), სოზარ სუბარი (სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი), ვახტან ხმალაძე (იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე/კოალიცია ქართული ოცნება), მამუკა ქაცარავა (თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი), ეკა ბესელია (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარე/კოალიცია ქართული ოცნება), ზურაბ აბაშიძე (საქართველოს სპეციალური წარმომადგენელი რუსეთში), გიორგი მარგველაშვილი (განათლებისა და მეცნიერების მინისტრი), გიგი უგულავა (თბილისის მერი), თეა წულუკიანი (იუსტიციის მინისტრი).

ამ ჩართვებში ჟურნალისტი ყოველთვის აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და აწყვეტინებს მხოლოდ დამატებითი კითხვის დასმის ან ჩაკითხვის მიზნით. ჟურნალისტის შეკითხვები სტუმრებისადმი მეტნაკლებად მომთხოვნია.

მაესტრო

23 ოქტომბრიდან - 3 ნოემბრის პერიოდში მაესტროზე მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს მხოლოდ 2 საათი და 34 წუთი დაეთმო. მთელი დროის გამოკვეთილად დიდი ნაწილი დაეთმო მთავრობას. ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის დრო თითქმის ერთნაირად განაწილდა. პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება პირველ სამ ადგილას მყოფ სუბიექტებს საკმაოდ თანაბარი აქვთ. აქედან ყველაზე თანაბრად პირდაპირი და ირიბი საუბარი კოალიცია ქართულ ოცნების შემთხვევაში ნაწილდება. რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ძირითადად ნეიტრალური ტონი ჭარბობს, თუმცა უარყოფითი და დადებითი ტონით გაშუქებაც გვხდება. უფრო მეტად თვალში საცემია უარყოფითი ტონი თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში. რაც შეეხება უურნალისტის ტონს, ძირითადად ნეიტრალურ გაშუქების ფონზე ორი სუბიექტის მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონი: მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები აქვს. თუმცა, შეინიშნება უარყოფითი შინაარსის მქონე სათაურები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ. სიუჟეტების საერთო შთაბეჭდილება ხშირად უარყოფითია ყოფილი ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ. იშვიათია დადებითი შთაბეჭდილება. თუმცა, რამდენიმე სიუჟეტში შეინიშნება კოალიცია ქართული ოცნების ლიდერების დადებითი გაშუქება. წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებულია. გვხვდება სიუჟეტები, სადაც იგრძნობა ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურებისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა. თუმცა, ხშირად უურნალისტი აღნიშნავს, რომ კომუნტარის მიღება ვერ მოხერხდა.

მაესტროზე ამ პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ 2 საათი და 34 წუთი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მყოფ მთავრობას ამ დროის საკმაოდ დიდი წილი - 40 პროცენტი დაეთმო. მეორე და მესამე ადგილას მყოფ კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შედარებით ნაკლები და თითქმის ერთნაირი პროცენტული განაწილება აქვთ: ქართული

ოცნება - 23 პროცენტი, ნაციონალური მოძრაობა - 21 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს 6 პროცენტი ან ნაკლები აქვთ. (იხ. დიაგრამა Time 4)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება პირველ სამ ადგილას მყოფ სუბიექტებს საკმაოდ თანაბარი აქვთ. აქედან ყველაზე თანაბრად პირდაპირი და ირიბი საუბარი კოალიცია ქართულ ოცნების შემთხვევაში ნაწილდება: პირდაპირი - 51 პროცენტი, ირიბი - 49 პროცენტი. მთავრობას და ნაციონალური მოძრაობას ეს განაწილება ზუსტად ერთნაირად აქვთ: პირდაპირი - 42 პროცენტი და ირიბი - 58 პროცენტი. პრეზიდენტს, რომელსაც მხოლოდ 10 წუთი დაეთმო პირდაპირი საუბრის წილი საკმაოდ დაბალი აქვს - 35 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ძირითადად ნეიტრალური ტონი ჭარბობს, თუმცა უარყოფითი და დადებითი ტონით გამუქებაც გვხდება. უფრო მეტად თვალში საცემია უარყოფითი ტონი თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერთაინი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში დაფიქსირდა - 30 პროცენტი. შედარებით ცოტა უარყოფითი ტონი აქვთ კოალიცია ქართულ ოცნებას (10%) და მთავრობას (7%). პრეზიდენტს, რომელსაც მხოლოდ 10 წუთი დაეთმო ყველაზე ცოტა ნაიტრალური გამუქების წილი აქვს - 51 პროცენტი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში დადებითი და უარყოფითი ტონი მაჩვენებელბი თითქმის თანაბარია: დადებითი - 27 პროცენტი, უარყოფითი - 22 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აქაც მსგავსი სურათია. ძირითადად ნეიტრალურ გამუქების ფონზე ორი სუბიექტის მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონი. ესენია: მთავრობა (5%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (27%). ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტის დადებითი ტონით გამუქება თითქმის არ ფიქსირდება. (იხ. დიაგრამა Tone J4)

მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე გასულ სიუჟეტებს ჰქონდა როგორც აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები, ასევე უარყოფითი შინაარსის და ზოგჯერ უარყოფითი ტონის სათაურები ძველი ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის შესახებ. მაგალითად,

„ჯადოქრები და სასწაულები - ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების პერსპექტივა“ (22 ოქტომბერი); „ზურაბ ადეიშვილის აპარტამენტები: აკრედიტების გარეშემ იუსტიციის ყოფილი მინისტრის სამუშაო ოთახები დაათვალიერა“ (29 ოქტომბერი); „სამარშრუტო ტაქსების გაუმჭვირვალე ტენდერი: სამარშრუტო კომპანიის ყოფილი მფლობელი“ (31 ოქტომბერი); „კაფე-რესტორანი 2 მილიონ ლარად: ცენტრალური ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების მიზნობრიობით ფინანსთა ახალი მინისტრი დაინტერესდა“ (1 ნოემბერი); „100,000 ლარი მომღერლისთვის: პრეზიდენტი ვახტანგ ვიკაბიძის კონცერტებისთვის 100,000 ლარის გამოყოფას აწერს ხელს“ (2 ნოემბერი). ასევე იყო რამდენიმე დადებითი შინაარსის სათაურიც, რაც უმეტესად ეხებოდა ახალი მთავრობის წარმომადგენლებს ან საქართველოს ახალ პერსპექტივებს, მაგალითად, „რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივა: მთავრობა მოსკოვთან დიალოგისთვის მზად არის“ (1 ნოემბერი).

მაესტროზე მონიტორინგის პერიოდში გასული სიუჟეტები უმეტესად უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ყოფილი მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის მიმართ. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი შთაბეჭდილება ძირითადად სიუჟეტების თემატიკიდან და წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებიდან იქმნება. ჟურნალისტის ტექსტები უმეტესად ნეიტრალურია.

მაგალითად, 22 ოქტომბრის სიუჟეტში „ჯადოქრები და სასწაულები - ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების პერსპექტივა“ ხაზგასმულია განსხვავება პრეზიდენტ სააკაშვილის რიტორიკაში კოალიცია ქართული ოცნებისა და მისი წარმომადგენლების მიმართ არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. ნაჩვენებია წინასაარჩევნო პერიოდის კადრები, სადაც იგი კოალიციას „მუმიებად“ მოიხსენიებდა, ახლა კი მისი საუბარი შეცვლილია. სიუჟეტი ასევე ევითხება რამდენიმე ექსპერტს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების შესახებ. ექსპერტების თქმით, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი დაბალია. ამიტომ მათ მთლიანად უნდა შეცვალონ იდეოლოგია, წევრები, მოინანიონ თავიანთი ქმედებები და მხოლოდ ამის შემდეგ აეწევათ რეიტინგი. სიუჟეტიდან უარყოფითი შთაბეჭდილება რჩება პრეზიდენტისა და ნაციონალური მოძრაობის შესახებ.

23 ოქტომბრის სიუჟეტი „ვინ დატოვა საქართველო? 5 ოქტომბერს თურქეთის ქ. რიზეს ერთ-ერთ სასტუმროში რეგისტრაცია დავით ჭავუამ, სოსო თოფურიძემ და ალექსანდრე რუხაძემ გაიარეს“ წეგატიურია მთვრობის ყოფილი წევრების მიმართ, რომლებმაც საქართველოს ფარგლები დატოვეს. 26 ოქტომბრის სიუჟეტი „ზურაბ ჟვანიას საქმე: გიორგი ჟვანია საქმის მტკიცებულებების გაყალბებაში წინა ხელისუფლებას, მათ შორის გიორგი ბარამიძეს, ადანაშაულებს“ უარყოფითია ყოფილი ხელისუფლების მიმართ, რადგან ზურაბ ჟვანიას ძმა საუბრობს იმაზე, რომ ჟვანიას ყოფილი თანაგუნდელები მონაწილეობდნენ მტკიცებულებების დამალვაში და, შესაბამისად, მკვლელობის დაგეგმვაში. 26 ოქტომბრის სიუჟეტში „დაკითხვა გურჯაანის პოლიციაში: მუქერიშვილების ოჯახი დაშინებისა და ზეწოლის ფაქტზე საუბრობს“ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ნაციონალურ მოძრაობაზე, რადგან საუბარია ამ პარტიის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ზეწოლაზე ოჯახის მიმართ. 1 ნოემბრის სიუჟეტი „კაფე-რესტორანი 2 მილიონ ლარად: ცენტრალური ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების მიზნობრიობით ფინანსთა ახალი მინისტრი დაინტერესდა“ უარყოფითია ყოფილი მთავრობის მიმართ, რადგან საუბარია თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე კაფეებისა და რესტორნების ასაშენებლად. 2 ნოემბრის სიუჟეტი „ექიმების პროტესტი: ექსპერტები სადაზღვევო სისტემის ხარვეზებზე საუბრობენ“ ასევე უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ყოფილ მთავრობაზე და მის მიერ განხორციელებულ რეფორმაზე. სიუჟეტში გაკრიტიკებულია სადაზღვევო სისტემა და წარმოდგენილნი არიან უკმაყოფილო ექიმები..

რაც შეეხება დადებით შთაბეჭდილებას, რამდენიმე სიუჟეტში შეინიშნებოდა დადებითი შთაბეჭდილება კოალიცია ქართული ოცნების ლიდერების მიმართ. თუმცა, ასეთი სიუჟეტი ბევრი არ იყო. მაგალითად, 29 ოქტომბრის სიუჟეტში „დეპუტატების ბინის ქირა: თითოეულ დეპუტატს ბინის ქირისათვის განკუთვნილ 533 ლარს პარლამენტი საკუთარი ბიუჯეტიდან გამოუყოფს“ ჩართულია მანანა კობახიძის კადრები, როგორც ერთ-ერთი პირველი დეპუტატისა, რომელმაც ქუთაისში ბინა უკვე იქირავა. კობახიძე დადებითად იყო წარმოდგენილი, რადგან ნაჩვენებია სამზარეულოში მისი ფუსფუსი და საუბარი. ამ კადრებს მუსიკაც ახლდა თან. თუმცა, შემდეგ იმავე სიუჟეტში გაკრიტიკებული იყო პარლამენტის ქუთაისში ფუნქციონირების ხარჯიანობა. 29 ოქტომბრის სიუჟეტში „მთავრობის სხდომა“ კი

ნაჩვენები იყო, თუ როგორ მივიდა ბიძინა ივანიშვილი კანცელარიაში, როგორ მიესალმა ყველა თანამშრომელს, მათ შორის ქალბატონებს, რომლებმაც მომღიმარი სახეებით გადაკოცნეს პრემიერმინისტრი. ამ კადრებს თან სდევდა ჟურნალისტის ტექსტი იმის შესახებ, რომ ივანიშვილმა მიიღო მისალოცი ბარათი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან, სადაც საუბარია ამერიკის მიერ საქართველოში დემოკრატიის მხარდაჭერაზე.

მაესტროზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტებისა და განსხვავებული მოსაზრებების მხრივ უფრო ხშირად დაბალანსებულია. იყო შემთხვევები, როცა შეიმჩნეოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ან სხვა ოფიციალური სტრუქტურების კომენტარების საჭიროება. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ კონკრეტული სტრუქტურიდან ან პირისგან კომენტარის მიღება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, ასეთი შეუსაბამობები ხშირი არ იყო. თუმცა, რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. მაგალითად, 29 ოქტომბრის სიუჟეტში „დეპუტატების ბინის ქირა“ ჟურნალისტის თქმით, „გიორგი გაბაშვილი ფიქრობს, რომ დეპუტატების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებისთვის პარლამენტის ქუთაისში გადატანით ხარჯები მნიშვნელოვნად არ გაიზრდება“. ამ სიტყვებს მოსდევს გაბაშვილის კომენტარი, სადაც იგი ამბობს, რომ ქუთაისში უფრო მეტ დეპუტატს დასჭირდება ბინით უზრუნველყოფა. შესაბამისად, დამატებითი ხარჯები იქნება.

კავკასია

კავკასიაზე დღის მთავარ საინფორმაციულებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 9 წუთი დაეთმო. ამ დროის ნახევარზე მეტი დაეთმო მთავრობას. სამეულში ასევე მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი წილი კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბარი კი ნაციონალურ მოძრაობას აქვს. კავკასიაზე სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად გაშუქდნენ, როგორც საერთო ისე უურნალისტის შემთხვევაში. თუმცა, ორივე შემთხვევაში რამდენიმე სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონით გაშუქება და მათში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს. ნეიტრალური საერთო შთაბუჭდილების მქონე სიუჟეტებთან ერთად კავკასიაზე გვხდება ასევე უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და პრეზიდენტის მიმართ. უარყოფითი შთაბუჭდილება ხშირად მხოლოდ რესპონდენტების კომენტარების შედეგად რჩება. დადებითი საერთო შთაბუჭდილების მქონე სიუჟეტები ამ პერიოდში პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა. სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, თუმცა არის ისეთი სიუჟეტებიც, სადაც არც ერთი რესპონდენტი არაა წარმოდგენილი.

კავკასიაზე 23 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 9 წუთი დაეთმო. ამ დროის ნახევარზე მეტი დაეთმო მთავრობას (51%). ისევე როგორც სხვა არხებზე, კავკასიაზეც პირველ სამეულში მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლით: ქართული ოცნება 19% და ნაციონალური მოძრაობა 14%. დანარჩენ სუბიექტებს 5 პროცენტი ან ნაკლები დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 5)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილება სუბიექტების მიხედვით განსხვავდება. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი წილი კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში დაფიქსირდა (55%); ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბარი კი ნაციონალურ მოძრაობას აქვს (35%). (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კავკასიაზე სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად გაშუქდნენ. რამდენიმე სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონით გაშუქება და მათში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს: 35 პროცენტი. უარყოფითი ტონის წილი აქვს ასევე კოალიცია ქართულ ოცნებას - 10 პროცენტი და პრეზიდენტს, რომელსაც მხოლოდ 9 წუთი დაეთმო (27%). (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში გამოხატული უარყოფითი ტონი მხოლოდ ორი სუბიექტის შემთხვევაში გვხდება. ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 23 პროცენტით და პრეზიდენტი 20 პროცენტით. მცირე უარყოფითი გაშუქება ჟურნალისტის მხრიდან ქართულ ოცნებასაც აქვს - 4 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J5).

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში კავკასიაში სიუჟეტებს სათაურები არ აქვს, ამიტომ მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

23 ოქტომბერი - 2 ნოემბრის პერიოდში ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებთან ერთად იყო ასევე უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები პრეზიდენტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ყოფილი ხელისუფლებისა და ყოფილი მთავრობის მიმართ. მხოლოდ ერთი-ორი უარყოფითი შინაარსის სიუჟეტი დაფიქსირდა კოალიცია ქართული ოცნებისა და ახალი ხელისუფლების მიმართ. ამ შთაბეჭდილებას ხშირად სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარები ქმნის.

მაგალითად, 2 ნოემბრის სიუჟეტი აფრასიძების საქმის შესახებ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს მიხეილ სააკაშვილსა და ყოფილი მთავრობის წევრების, კერძოდ ვანო მერაბიშვილისა და გიორგი ბარამიძის, შესახებ. ნაჩვენებია 2009 წელს პრეზიდენტის მიერ გავეთებული განცხადება, სადაც ის საუბრობს იმის შესახებ, რომ პირადად გასცა ბრძანება ამ სპეცოპერაციაზე და არც ნანობს ამას. მისივე ბრძანებით ვერტმფრენებიდან გაიხსნა ცეცხლი, მათ შორის რაკეტებით და ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ამასთან სიუჟეტი უარყოფითია გიორგი ბარამიძისა და ვანო მერაბიშვილის მიმართ, ნაჩვენებია კადრები არქივიდან, სადაც ისინი ჩანან. სიუჟეტიდან ირკვევა, რომ სწორედ ისინი ღებულობდნენ მონაწილეობას ამ

სპეცოპერაციაში. აფრასიძეების ნათესავი და ოჯახის წევრები ყვებიან ამ სპეცოპერაციის დეტალების შესახებ, მათი გამოსვლა ემოციურია. შმაგი აფრასიძის შვილი კი ყვება, როგორ გამოიყვანეს ბაბუამისი სახლიდან და ესროლეს ტყვია. სიუჟეტში აჩვენებენ სპეცოპერაციის შედეგად აფრასიძეების დანგრეული სახლის კადრებსაც.

მხოლოდ რამოდენიმე უარყოფითი სიუჟეტი დაფიქსირდა ახალ მთავრობაზე, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს ეხებოდა. მოცემული სიუჟეტების მიხედვით დევნილები და აქციის მონაწილეები უკმაყოფილებას გამოხატავენ სამინისტროებისადმი და მათ უყურადღებობაში ადანაშაულებენ.

რაც შეეხება დადებითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებს, ისინი პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა.

სიუჟეტებში გამოყენებული წყაროებისა და წარმოდგენილი აზრთა სხვადასხვაობის მხრივ, კავკასიაზე მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. სხვა არხების მსგავსად, კავკასიაზეც ხშირია სიუჟეტები, რომელთა შემთხვევაშიც რთულია ბალანსზე საუბარი ან არ არის წარმოდგენილი არც ერთი რესპონდენტი.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე სუბიექტებს 23 ოქტომბრიდან - 3 ნოემბრის პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს სხვა არხებთან შედარებით ყველაზე ნაკლები დრო მხოლოდ 2 საათი და 23 წუთი დაეთმოთ. აქედან საკმაოდ დიდი წილი აქვს მთავრობას. სამეულში, შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლებით ასევე მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, მეცხრე არხზე ეს განაწილება სამი ძირითადი სუბიექტის შემთხვევაში მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული. სხვა არხებისგან განსხვავებით თვალში საცემია ზოგი სუბიექტის შედარებით მეტი უარყოფითი ტონით გაშუქების წილი. ეს ძირითადად ორი სუბიექტის შემთხვევაში გვხდება: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი. რაც შეეხება დადებით ტონს, ასეთი ტონით გაშუქება მხოლოდ მთავრობის შემთხვევაში გვხდება. უურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია. სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების კომინტარები. მეცხრე არხზე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც უურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან უურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი.

მეცხრე არხზე მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სხვა არხებთან შედარებით ყველაზე ცოტა დრო, მხოლოდ 2 საათი და 23 წუთი დაეთმოთ. აქედან საკმაოდ დიდი წილი - 43 პროცენტი - აქვს მთავრობას. სამეულში, შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლებით ასევე მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება (19%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (14%). დანარჩენ სუბიექტებს 5 პროცენტი ან ნაკლები დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 6)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, მეცხრე არხზე ეს განაწილება სამი ძირითადი სუბიექტის შემთხვევაში მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული. კოალიცია ქართული ოცნება ერთადერთი სუბიექტია, რომელსაც პირდაპირი საუბრი წილი უფრო მეტი აქვს ვიდრე ირიბის (პირდაპირი - 55%, ირიბი - 45%). პირდაპირი საუბრის ყველაზე პატარა

წილი დაუფიქსირდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 35 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მეცხრე არხზე სხვა არხებისგან განსხვავებით თვალში საცემია ზოგი სუბიექტის შედარებით მეტი უარყოფითი ტონით გაშუქების წილი. ეს ძირითადად ორი სუბიექტის შემთხვევაში გვხდება: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (37% თითქმის 26 წუთიდან) და პრეზიდენტი (57% თითქმის 10 წუთიდან). უარყოფითი გაშუქების შედარებით მცირე წილი გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნებისა (7%) და მთავრობის (3%) შემთხვევაში. რაც შეეხება დადებით ტონს, ასეთი ტონით გაშუქება მხოლოდ მთავრობის შემხვევაში გვხდება - 7 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია, განსაკუთრებით უარყოფითი ტონის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ მთავრობის შემთხვევაში ჟურნალისტის ტონში დადებითი გაშუქება მინიმალურია - 2 პროცენტი. უარყოფითი ტონის წილი კი საკმაოდ დიდია ზუსტად იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც საერთო ტონში უარყოფითი გაშუქების ასევე დიდი წილი ჰქონდათ. ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (41%) და პრეზიდენტი (50%). (იხ. დიაგრამა Tone J6)

სიუჟეტების სათაურების მხრივ მონიტორინგის ამ პერიოდში მეცხრე არხზე ხშირად შეიმჩნევა უარყოფითი შინაარსის სათაურები ყოფილი ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, „შაშკინის აღსარება: არასამთავრობოები შაშკინის მიმართ გამოძიების დაწყებას ითხოვენ“ (22 ოქტომბერი); „პრეზიდენტის შენიშვნა: ჰესების შენების შეჩერება სააკაშვილისთვის შეცდომაა“ (23 ოქტომბერი); „დატბორილი პარლამენტი: პარლამენტის ახალ შენობაში წყალი ჩავიდა“ (24 ოქტომბერი); „ბრალდება ყოფილ მინისტრს: ყოფილი სერუანტები ახალაიას არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებენ“ (29 ოქტომბერი); „გაქცეული მინისტრები: ქვეყნიდან წასული მინისტრების ადგილსამყოფელი უცნობია“ (30 ოქტომბერი); „გაფლანგული ბიუჯეტი: მილიარდი ლარის ხარჯვის მიზნობრიობას პროკურატურა სწავლობს“ (31 ოქტომბერი).

ასევე შეინიშნება დადებითი შინაარსის სათაურები, რაც ახალ მთავრობასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, „დასუფთავების გადასახადი: დასუფთავების ტარიფი ზამთრის პერიოდში განახევრდება“ (25 ოქტომბერი).

მონიტორინგის პერიოდში მეცხრე არხზე ჭარბობს უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები, სადაც ყოფილი ხელისუფლება, მთავრობა, პრეზიდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ადგილობრივი თვითმმართველობა უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული. ამას ძირითადად განაპირობებს თვითონ სიუჟეტის თემატიკა, ასევე რესპონდენტების კომენტარები, სიუჟეტის საერთო კონტექსტი და ზოგჯერ ჟურნალისტის ტექსტიც.

მაგალითად, 22 ოქტომბრის სიუჟეტები „შაშვინის აღსარება: არასამთავრობოები შაშვინის მიმართ გამომიების დაწყებას მოითხოვენ“ და „ბინები სამხედროებისთვის: სამხედროების ნაწილმა დაპირებული ბინა ვერ მიიღო“ უარყოფითია განათლების ყოფილი მინისტრის, დიმიტრი შაშვინის მიმართ, რადგან იგი წარმოდგენილია, როგორც უპასუხისმგებლო მინისტრი, რომელმაც მიატოვა სამინისტრო. მეორე სიუჟეტში უარყოფითადაა გაშუქებული მისი მოღვაწეობა თავდაცვის სამინისტროში.

23 ოქტომბრის სიუჟეტი „ორპან აქსუს საქმე: ბიზნესმენის ოჯახი საგამომიებო კომისიას მიმართავს“ უარყოფითია ყოფილი ხელისუფლების მიმართ. სიუჟეტს ჟურნალისტი ასეთი ტექსტით იწყებს: „სახელმწიფო რეკეტი. როგორ შენდებოდა მსხვილი პროექტები საქართველოში. იმის გამო, რომ ხელისუფლებას ბიზნესმენისთვის 4 მილიონი არ გადაეხადა, თურქი ბიზნესმენი 4 ათასი ლარის ქრთამის მიცემის ბრალდებით დააკავეს და მისსავე აშენებულ ციხეში ჩასვეს. ... გაწეული სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ ციხეში ჩასმა - ეს ყოფილი ხელისუფლების აპრობირებული მეთოდი იყო.“ 25 ოქტომბრის სიუჟეტი „ჩატავის საქმე: სამი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შესაძლოა ცრუ აღმოჩნდეს“ უარყოფითისკენ იხრება ყოფილი ხელისუფლების მიმართ, რადგან საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი და ხელს უწყობდა ლოპოტას ინციდენტს. 26 ოქტომბრის სიუჟეტიდან „ჟვანიას საქმე: ძიებამ შესაძლოა პრეზიდენტი სააკაშვილი დაკითხოს“ უარყოფითი შთაბეჭდილება რჩება სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ბარამიძის მიმართ,

რადგან ზურაბ ჟვანიას მმა მკვლელობაში ადანაშაულებს ამ ადამიანებს და მათ დაკითხვას მოითხოვს. მომავალი პროკურორი კი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირს, მათ შორის პრეზიდენტსაც, მოუწევთ გამოძიების კითხვებზე პასუხის გაცემა, თუ გამოძიება დაინტერესდება. 29 ოქტომბრის სიუჟეტი „შარაძის საქმე: შარაძის მკვლელობისათვის მსჯავრდებული დაკითხვას ითხოვს“ უარყოფითია პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ, რადგან გურამ შარაძის ქალიშვილი სააკაშვილს სდებს ბრალს მამის მკვლელობის შეკვეთაში. 30 ოქტომბრის სიუჟეტი „გაქცეული მინისტრები: ქვეყნიდან წასული მინისტრების ადგილსამყოფელი უცნობია“ უარყოფითია ძველი ხელისუფლების მიმართ, რადგან საუბარია იმაზე, რომ ყოფილმა მაღალჩინოსნებმა არჩევნებიდან რამდენიმე დღეში საქართველო დატოვეს. 30 ოქტომბრის სიუჟეტი „გურჯაანის ბიუჯეტი: ბიუჯეტიდან 28,000 ლარი მანქანის საყიდლად გამოიყო“ ნეგატიურია ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ, რადგან საუბარია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დიდი თანხების გამოყოფაზე ისეთი ნივთებისათვის, რისი საჭიროებაც არ მტკიცდება. 1 ნოემბრის სიუჟეტი „საეჭვო ტენდერი: მეტრეველი პროკურატურაში სარჩელის შეტანას გეგმავს“ უარყოფითია თბილისის მერიის მიმართ, რადგან სიუჟეტიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ ყვითელი მიკროავტობუსების ტენდერი არაკანონიერად, კონკურსის პრინციპის დაცვის გარეშე ჩატარდა.

შედარებით იშვიათია დადებითი შთაბეჭდილების სიუჟეტები რომელიმე სუბიექტის მიმართ. თუმცა, მაინც გვხვდება და ეხება კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებს ან ახალ მთავრობას. მაგალითად, 24 ოქტომბრის სიუჟეტი „შეხვედრა უმრავლესობასთან: ბიძინა ივანიშვილმა უმრავლესობის კითხვებს უპასუხა“ დადებითად წარმოაჩენს ბიძინა ივანიშვილს, რადგან ურნალისტიც და თვითონ ივანიშვილიც ამბობენ, რომ ყველა დაპირება შესრულდება და ივანიშვილი ამისათვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს. 27 ოქტომბრის სიუჟეტი „პატრიარქის მილოცვა: ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს პრემიერმინისტრობა მიულოცა“ დადებითია ივანიშვილისა და უსუფაშვილის მიმართ, რადგან პატრიარქი მათ თავის მილოცვაში აქებს. 29 ოქტომბრის სიუჟეტი „ალასანიას მემკვიდრეობა: თავდაცვის მინისტრი რთულ მდგომარეობაზე საუბრობს“ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს ალასანიაზე. წარმოდგენილია მისი ინტერვიუს ნაწყვეტი, სადაც ალასანია საუბრობს იმ საქმეებზე, რის განხორციელებასაც აპირებს თავდაცვის სამინისტროში. ურნალისტი შესავალშივე ხაზს

უსვამს, რომ შაშკინისა და ახალაიას შემდეგ სამინისტრო არც თუ ისე კარგ მდგომარეობაში დახვდა ალასანიას და გარკვეულწილად კონტრასტს ქმნის, რითაც ალასანიაზე უფრო დადებითი შთაბეჭდილება იქმნება.


რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ რიგი სიუჟეტებისა დაბალანსებულია. თუმცა, გვხვდება სიუჟეტები, სადაც გაუღერებულია ბრალდებები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების, ნაციონალური მოძრაობის მიმართ, მაგრამ არ არის წარმოდგენილი მათი კომენტარები. ზოგადად, შეინიშნება პოლიციისა და სასამართლოს წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა. ასევე არის სიუჟეტები, სადაც რამდენიმე ტიპის განსხვავებული რესპონდენტია წარმოდგენილი, თუმცა, არ არის წარმოდგენილი განსხვავებული აზრი.

მეცხრე არხზე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან ჟურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი, რაც კონკრეტულ შემთხვევებში ამმიმებს და ამძაფრებს სურათს.

დანართი - დიაგრამები


დიაგრამა Time 1

პირველ არაზე სუბიექტებისთვის დათმობილი ფრთ (სულ 7 სთ 15 წლ)




დიაგრამა Time 2

რესტავი 2-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ფრთ (სულ 7 სთ 14 წლ)




დიაგრამა Time 3

გაესტროზი სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 2 სთ 34 წთ)




დიაგრამა Time 4

კავკასიაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 3 სთ 9 წთ)




დიაგრამა Time 5

მეცნიერება არხზე სუბიექტებისთვის დათოვგილი დრო (სულ 2 სთ 23 წლ)




დიაგრამა Speech 1

პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო:
პირდაპირი-ინიგი საუბარი (%)




დიაგრამა Speech 2


რასთავი 2-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო:
პირდაპირი-ინიგი საუბარი (%)



დიაგრამა Speech 3




დიაგრამა Speech 4




დიაგრამა Speech 5


**ევსხე არხზე სუპერტენისტვის დათმობილი დრო:
პირდაპირი-ირიგი საუბარი (%)**




დიაგრამა Tone 1




დიაგრამა Tone J1




დიაგრამა Tone 2




დიაგრამა Tone J2




დიაგრამა Tone 3




დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4




დიაგრამა Tone J4



დიაგრამა Tone 5

გეცხრე არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი ძრო ტონის მიხედვით (%)



დიაგრამა Tone J5

გეცხრე არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი ძრო ურნალისტის ტონის მიხედვით (%)

